საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით რექტორი



დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი
ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია ხელნაწერი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თბილისი

დავით რექტორი(**დავით ალექსის ძე მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი**) (1745–1824), მეცნიერი, მწიგნობარი, პედაგოგი, კალიგრაფი.

დაახლ. 1764–65 დაამთავრა თბილ. სემინარია. 70-იანი წწ. ბოლოსა და 80-იანი წწ. დასაწყისში ერეკლე II-ის კარზე მდივან-მწიგნობარი იყო და გაიოზ რექტორი|გაიოზ რექტორთან ერთად ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს. 1783 გაიოზ რექტორის რუსეთში გამგზავრების შემდეგ თელავის სემინარიაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 1790-იდან სემინარიის გაუქმებამდე (1801) კი – რექტორი.

ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. სემინარიაში ასწავლიდა გრამატიკას, თეორ. ფიზიკას, ეთიკას, მაგრამ ოფიც. სასწ. გეგმები არ აკმაყოფილებდა და ფართოდ გაშალა საგანმან. მუშაობა – სემინარიაში დააარსა *ლიტ.*-შემოქმედებითი წრე. დ. რ. ავტორია მრავალი სახელმძღვანელოსი („არითმეტიკა", „სწავლანი ოთხნაწილედნი", აგრეთვე ქართული წერის დედნები და სხვ.).

მეფე გიორგი XII-ის დავალებით დ. რ-ს შეუმოწმებია ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მცხეთისა და ანჩისხატის სკოლები. მან შეადგინა ხელნაწერთა სია, რ-იც

ცნობილია 1810 წლის კატალოგის სახელწოდებით. მასვე ეკუთვნის მეორე ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის", სადაც თავმოყრილია ცნობები ძვ. ქართვ. მწერლებსა და მთარგმნელებზე.

დ. რ. ეწეოდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობასაც; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის კომენტარები (დაზუსტებულია ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა, ზოგჯერ კი დამატებულია ახ. სიტყვები და მათი განმარტება). დ. რ-ის პოეტურ მემკვიდრეობაში შეიმჩნევა ფრანგ განმანათლებელთა იდეების კვალი და ანტონ I-ის სქოლასტიკური სკოლის გავლენა. დ. რ. დახვეწილი კალიგრაფი იყო. მის მიერ გადაწერილ მრავალრიცხოვან ხელნაწერთაგან აღსანიშნავია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ორტომიანი ანთოლოგია (ხელნაწერი შ–1511, 1512, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი).

ლიტ.: მ ი ქ ა ძ ე გ., მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, «ლიტერატურული ძიებანი», 1961, [ტ.] 13; რ ო გ ა ვ ა ა., სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954; ს ა ნ ი კ ი ძ ე ქ., თელავის სემინარია და დავით რექტორი, «ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1946, ტ. 6; ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1974; Р о г а в а А. А., Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II, Тб., 1974.

ა. როგავა